სამშობლო

წ. I 1915 წ.

კვირა 15 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ [illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდ[illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 13 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს უფასოდ ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ქართველი მოწყალე დების გუნდი და ქუთაისის სამხედრო გოსპიტალში მწოლარე ქართველნი ავადმყოფნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 15 თებერვალს, დღის 12 საათზე, **გოსპიტლის ეკლესიაში,** გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

დიდებულ აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

1—1—62

თ დ სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ომში ტრაღიკულათ მოკლულ იქნა შვილი მისი

არჩილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 4 საათზე, საჩხერის მაცხოვრის ეკლესიაში. გვამის მოსვენება და დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება

1—5

კვირას, 22 თებერვალს, სოფ. ნასპერს (ლეჩხუმ. მაზრა). ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება **ორმოცის წირვა და პანაშვიდი** ბრძოლის ველზე ტრაღიკულათ მოკლულის პოდპოლკოვნიკის

ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი, შვილები, დედა, დაი და მამა განსვენებულისა ტარასი გრიგოლის ძე ახვლედიანი. პანაშვიდის დასაწყისი დღის 12 საათ.

მარინე, ლადო, მაშო და ეკატერინე, ელენე, ალექსანდრე, ამბროსი და სამსონი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის და უკანასკნელნი სიმამრის

მღ. გრიგოლ ნანუკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, დ. ონში.

ს. ს. **ი. გოკიელის** ფ-ბის ქუთაისში ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

აბრეშუმის ჭიის თესლის

ხ. ხრისტოდულიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.

ქუთაისი
გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

მოსკოვის ფირმის

ქუთაისი
გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანიფაკტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კაბ ტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ **მანტოსათვის:**

„ფაი—რენე“ და „ფაი—შიკ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.

ფასები შეუფასრებლათ

გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქუთაისის ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ დღეს, 15 თებერვალს, **ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით** წარმოდგენილ იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

მედეა

ტრაღედია 5 მოქ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები

დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ბილეთების ფასი საბენეფისოა**

1—1

ელექტრო-თეატრი რადიუმი.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დასტირის დიდებულ მამულიშვილს აკაკის. მის ცხედრის გამოსვენებას დაესწრო მთელი საქართველო.

ეს დიდებული სანახაობა ჩვენ გადავიღეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს რა პატივით მოეპყრო აკაკის მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება.

მობრძანდით და იხილეთ ეს დიდებული სურათი.

1) აკაკის სასახლე და ბინა, სამუშაო ოთახი, ეზო, კარ-მიდამო

2) აკაკის ამოსვენება საჩხერიდან.

3) როგორ ეგებება ქართველობა აკაკის ნეშტს რკინის გზის სადგურებზე საჩხერიდან—შორაპნამდე.

სეანსები დაიწყო 9 თებერვლიდან თ. 51.

ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოდ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი.** 12—10

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის

უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს სააზბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშვები. თ. 7.

სომხების ავტონომიის საკითხის გამო.

როცა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია წამოყენებული, მიუდგომელი გადაწყვეტისათვის საჭიროა მას ყველამხრივ შევეხოთ, როგორც აწმყოში, ისე წარსულში. სხვაფრივ ყოველგვარი სჯა-ბაასი ასეთი საკითხის შესახებ ნაყოფიერი არ იქნება.

— უკანასკნელ ხანს რუსული პრესა სომხების საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს. სატახტოსა და დაბა-ქალაქების გაზეთებში, მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ ამ საკითხის შესახებ მრავალი წერილი დაიბეჭდა.

სომხის გამოჩენილი მოღვაწენი რუსის საზოგადოებას სომხის საკითხის ისტორიას აცნობდენ.

ეს საკითხი ისეთი რთული და მრავალკვანძიანი გამოდგა, რომ რუსის საზოგადოებამ ამ საკითხის შესახებ ერთგვარი აზრი ვერ გამოიტანა, თვით სომხის საზოგადოებაშიც მრავალაზროვნობა არსებობს. ავტონომიისა, ანექსიისა, ტერიტორიისა და ოსმალეთის სუვერენიტეტის შესახებ საკითხები სომხის ორგანოებს ჯერ ვერ გაურკვევიათ.

პ. მილიუკოვის სომხებისთვის მოულოდნელმა გამოსვლამ კვანძი უარესათ დახლართა. სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ბ. აჯემოვმა „კავკასში“ გამოგზავნილ თავის დეპეშაში ბ. მილიუკოვის გამოსვლას ნაღველიანის კილოთი შეეხო და განაცხადა, რომ კადეტთა პარტიის ლიდერის მიერ სომხის საკითხის შესახებ გამოთქმული აზრი თვით პარტიის აზრს არ გამოხატავსო. მიუხედავათ ამისა ვერც კადეტთა პარტიამ და ვერც სათათბიროს ფრაქციამ პ. მილიუკოვის აზრი სომხის საკითხის შესახებ ვერ შეარყია.

საზოგადოთ, რუსის საზოგადოებას სომხის საკითხის შესახებ თავისი განაჩენი ჯერ კიდევ ვერ გამოუტანია რაიმე კონკრეტული ფორმა ვერ მიუცია. ვსარგებლობ ამითი და რუსის ხალხის საყურადღებოთ ისტორიულის სამართლიანობით ნაკარნახევს, ზოგიერთს ჩემს მოსაზრებას გამოვსთქვამ.

სომხის საკითხი—ახალი საკითხია: პოლიტიკურ ჰორიზონტზე ამ 30—40 წ. წინეთ ამოცურდა. რასაკვირველია, მე-17—18 საუკუნოების ავანტიურისტ იზრაილ, ორიასა და მის ამხანაგის ვართაპეტა მინასას დასავლეთ ევროპასა და რუსეთში უქმსა და უაზრო ყიალს დიდ ყურადღებას არავინ მიაქცევს. თავისიანებისაგან მიტოვებულნი, უცხო კერაზე დაიხოცნენ, მინასამ კი სიკვდილის წინ, მოსკოვში, 1740 წ. 2 აპრილს, მართმადიდებლობა მიიღო და სახელად მინა დაირქვა.

დღეს რა მოხდა.

გროდნოს სიმაგრეების ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

ოსოვეცის ციხეს გერმანელები საალყო ზარბაზნებს ესვრიან.

კარპატებში მდგომარეობა უცვლელია.

აღმოსავლეთ გალიციაში ავსტრიელების მოწინავე ნაწილები ხოთინიდან, კალუბიდან და რიკნოდან გავდევნეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 400-ზე მეტი კაცი.

პრასნიშის რაიონში მტერი ძლიერ დამარცხდა. ხელში ჩავიგდეთ 38 გერმანელი აფიცერი, 2600 ჯარის კაცი, 7 ზარბაზანი და მრავალი ურემი. აქ მტერმა 40 ვერსზე უკან დაიხია.

ბულგარეთისა და რუმინიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობა დაიდვა.

15 თებერვლიდან (ახალ. კალ.) გერმანიის წყალქვეშა ნავებს ინგლისის შვიდი გემი ჩაუძირავთ.

საფრანგეთის მფრინავებს რკ. გზ. სადგურთან 60 ყუმბარა ჩამოუგდიათ, რომელითაც დაუზიანებიათ სადგური, მატარებლები და ჯარის თავმოსაყარი ადგილი.

სომხის საკითხის ამ ჟამად მორიგ საკითხად დაყენებამ, რასაკვირველია დიდი ენერგია და ხარჯი მოითხოვა. სომხის საკითხის გადაწყვეტას დიდი დაბრკოლება ეგებება იმ მხრივ, რომ ამ საკითხის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებისათვის სულაც არ არის ერთი.

სომხის პრესას მილიუკოვი უპასუხებს, რომ იგი სომხების საზოგადოებრივ ბედს პირველ ყოვლისა არკვევს რუსის პოლიტიკურ მოღვაწის თვალსაზრისითქებება მას იმდენათ, რამდენადაც ეს სასარგებლო იქნება რუსებისათვის, თუმცა ამავე დროს სავსებით სწამს სომეხთა „ბუნებრივი მისწრაფება ერთ ნახევარს თავის ხალხისას (ოსმალეთის სომხებს) რიგიანი ცხოვრება მოუწყონო“. მაგრამ ასეთი „ბუნებრივი მოთხოვნილება“ სხვა ერებსაც ხომ აქვთ? მაგალითად:

> რუსეთში არსებობს ერთი პატარა ქვეყანა, სისხლისთა და სარწმუნოებით რუსეთთან დაკავშირებული—საქართველო. თავის მრავალტანჯულ ისტორიის განმავლობაში ქართველებს არა ერთხელ მოხვედრიათ ოსმალთა მძიმე ლახვარი—ამიტომ არ შეუძლიათ არ თანაუგრძნონ სომხებს, რომ მათი მოძმეები ოსმალეთში უზრუნველ-ყოფილ იყონ პოლიტიკურად და ეროვნულად. საქართველოს ისტორიის ცოტა კი არ ახსოვს მაგალითი, როდესაც ქართველობა თანაგრძნობით ეკიდებოდა მონობისაგან განთავისუფლების მოსურნე რომელსამე ერსა.

ქართველთა მატიანე „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება საგულისხმო გადმოცემა, ქართველების დამახასიათებელი. როდესაც ქართველებმა გაიგეს ებრაელთა განთავისუფლება ეგვიპტელთა ბატონობისაგან გაიხარეს და ილოცეს, შევედრენ ღმერთსა ისრაელთა, რომელმან უდაბნოში ჰკვება ერი ცისა მანანითა („ქართლ ცხოვრ.“ ნაწ. 1, გვ. 24—1840 გამ.) საქართველოს არა ერთხელ გაუნთავისუფლებია სომხები და მათი დედა ქალაქი მტერთაგან, მიუცია თავშესაფარი, გაუხდია საქართველოს სწორუფლებიან მოქალაქეებად.

ტერიტორიის საკითხი დიდი დაბრკოლებაა ქართველ-სომეხთა თანამეროვე ურთიერთობის განმტკიცებისათვის. არსებობს ნათლად მოწმდებელი ფაქტები, რომ ქართველები განსაკუთრებითის გრძნობიარებით ეპყრობიან საკითხს, თუ რანაირად გადაწყდება სომხეთის ტერიტორიის სვე-ბედი.

შემდეგ ავტორი ეხება იმ პროექტს, რომელმაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველობაში. ეს არის პროექტი თფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრათა ჩამოჭრის და მეზობელ გუბერნიათათვის მიმატებისა.

ქართველთა საზოგადოებრივი აზრი პროექტს გარეშეთა გავლენის შედეგად სთვლის და სამართლიანად მიაჩნია იგი საქართველოს ტერიტორიის შემცირების ცხად სურვილად. ვინაიდან ზემოხსენებული მაზრები ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდნენ და სომხები მხოლოდ მე 19 საუკუნის შუა დასახლდენ იქა..

პროექტის შესახებ „ბირჟ. ვედ.“ სწერდა სახელმწ. საბჭოს წევრი თავ. ა. ერისთავი. მისი ცნობები არავის უარუყვია, მაშასადამე პროექტი შესაფერისად მიაჩნიათ. მაგრამ ეს ხომ პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს და რუსეთის ტრაქტატს (ეს ტრაქტატი მეფის ნებართვით დაჰბეჭდა პროფ. ა. ა. ცაგარელმა; იხ. ტ. მე-II, ნაწ. I, გვ. 100—110, ტ. მე-II ნაწ. II, გვერდი 32—40.)

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში არის, სხვათა შორის, მეოთხე სეპარატული მუხლი: თუ ოდესმე რუსეთმა ისეთი პროვინციები დაიპყრო, რაიც წინად საქართველოს ეკუთვნოდა, ეს პროვინციები საქართველოს ტერიტორიას უნდა მიემატოსო...

იქ სადაც სამართლიანობაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება არ შევეხოთ ბ. მილიუკოვის ერთ შემცდარ აზრსაც. მან განაცხადა, ტრაპიზონი და სინოპი, საზოგადოთ, ეს ზღვის ნაპირი, სომხებს უნდა გადაეცესო. ქალ. ტრაპიზონი, როგორც მილიუკოვს მოეხსენება, სამეგრელოს ქალაქად ითვლება ყველა საისტორიო საბუთებში. მაშასადამე—იგი ქართველთა ტერიტორიაა. ტრაპიზონის ვილაეთი ეტნოგრაფიულად და გეოგრაფიულად ბათომის ოლქის გაგრძელებაა. და აქამდე ამ ქვეყნის აბორიგენები განთქმული მეზღვაურები—ლაზები—(ქართველები) არიან, რომელთა რიცხვი ტრაპიზონის ვილაეთში 800 ათას აღემატება.

თუ გაყოფა იქნება, მოხსენებული ზღვის ნაპირთა ადგილები, როგორც ღვთისა, ისე კაცთა კანონით, საქართველოს ტერიტორიას უნდა შეუერთდეს.

გაგებული გვაქვს, ერთ-ერთ სახელგანთქმულ სწავლულის და კავკასიის მცოდნის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისია მუშაობს სომხების ტერიტორიის საზღვრების გამოსარკვევადო. სამართლიანობა და მიუდგომლობა მოითხოვს, ხსენებულმა კომისიამ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას ყურადღება მიაქციოს და ყველაფერში გამოიყენოს.

(„პეტროგრ. ვედ.“)

სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

ლაილაში. ვსტირი და ვგლოვობ დიდებულ მგოსნის, ჩვენი საყვარელი აკაკის დაკარგვას. მოგვიკვდა პოეზიის დამამშვენებელი, დიდი ქურუმი. საქართველოს გამნათებელი მზე ჩაესვენა.

გიძღვნი უკანასკნელ სალამს შენ, ძვირფასო აკაკი! უკანასკნელად ვიყრი მუხლს შენს წინაშე და ვეამბორები შენ გაცივებულ, დიდებულს შუბლს, ჩვენო „ამირანო“.

გრიშა მჟავანაძე.

— —

ჩვენმა სამშობლო—საქართველომ დღეს დაკარგა ერთი თავის უძვირფასესი მნათობი და სიამაყე, და კვლავ ძაძით შეიმოსა...

სამშობლოს მივარდნილ კუთხეში, უღარიბეს გლეხის ქოხში, დაგიხვდებათ აკაკის სახელი მისი უკვდავი ჩანგის ჟღერის გავლენით. და ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელიც შესისხორცებული იყო ქართველ ხალხთან, დიდი დანაკლისია.

მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ დიდებული ადამიანის წინაშე, და ვეამბორებით, მის ბრწყინვალე, შარავანდედით მოსილს ნა აწ უკვე გაცივებულ ღვთაებრივ სახეს...

ვლადიმერ კიკნაველიძე, იონა ბაქრაძე.

— —

აკაკი.

სახელი აკაკი, აკაკი წერეთელმა განხორციელებულ პოეზიათ გარდაქმნა. მე მახსოვს, რომ პირველად თავის ლექსებს „თ. აკაკი წერეთელს“ აწერდა. მაგრამ, როცა თავისი პოეზია წმინდა ემბაზში გააბრწყინვა, ნათლით შემოსა, ბულბულისებური საგალობლები მზის სხივებზე მარგალიტ მძივებათ აასხა, წმინდა ავგაროზათ შექნა და ქართველთა გულში გაუქრობელ ლამპრათ აანთო, აი მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდა ცხოველ პოეზიათ სახელი „აკაკი“. ამას შემდეგ დაიწყო ლექსების დასასრულ წერა მხოლოდ „აკაკის“. მას შემდეგ ყველასათვის საყვარელ საგნათ გახდა სახელი „აკაკი“. აკაკის ენა ჯადომოსხმული იყო. აკაკის ნაწერს, რაც უნდა ყოფილიყო იგი, სულ ამოღებვით ძლივს წამკითხველიც კი უეჭველათ წაიკითხავდა და მეტს სიამოვნებას იგრძნობდა.

აკაკის ყოველგვარ ნაწერს ორი მხარე ქონდა; ერთი დამაფიქრებელი და მეორე ოხუნჯური:

სი მურა, მაგას უყეფე,
სერი გადაარბენიე,
კუდიდან ტყავი ააძვრე
თავზე გადააფენიე.

აი, ამ პატარა სტრიქონებში შხამ ნაღველიც იხატება და გულის მოსალბობი ოხუნჯობაც. ასეთი კილოთი შექმნა, შეაყვარა ყველას, არ დაფლა მიწაში ზეციდან მონიჭებული ნიჭი, არამედ ასარგებლა, ასეულად ათასეულად; მოჰფინა ქვეყანას და მით უკვდავყო თავისი სახელი. მაშ ასე: აკაკი კვლავ ცოცხალი დარჩება მუდამ ქართველთა გულში.

ნ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— —

სამშობლო ქვეყნის მოთქმა ქვითინს ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას ქართველი ერის სიამაყის ძვირფასი მგოსნის დაკარგვის გამო.

კნ. პაშა ბექთაბეგოვისა და კნიაჟნა ნინო ლორთქიფანიძის ასული.

— —

ბაღდათი. „ვიზიარებთ საზოგადო მწუხარებას და ვგლოვობთ სასიქადულო მამულიშვილის, მშრომელთა ხალხის მესაიდუმლის დაკარგვას“.

პარაკლისი ჩვენ მიერ გადახდილ იქნა 3 თებერვალს მოწაფეებთა თანდასწრებით.

ბაღდათის სავაჟო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია.

— —

ორბელი (ლეჩხუმის მაზრა). კვირას, 1 თებერვალს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, ადგილობრივ მღვდ. დავით ლეჭკაშელის მიერ გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი დიდებული მგოსნის, ქართველთა უსაყვარლესის აკაკის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დაესწრენ ადგილობრივი სამრევლო სკოლის მოწაფენი და მრავალი ხალხი. პანაშვიდის წინ მ. დავითმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკაკის მოღვაწეობა,

მასწ. ო. წულეისკირი.

— —

ს. როკითი. გულმოსკვნილი დავსტირით დიდებულ მოძღვარს, რომელმაც ნინო, ქეთევან, და თამარი დაგვისახა იდეალად და რომლის ღვთიური პოეზიაც მადლიან შუქს ჰფენს და ამხნევებს ლეჩაქ ახდილ დღევანდელ ქართველ დედის გულს.

ვნატრობთ, რომ როდესმე მოვიდეთ ჩვენ დედა—ქალაქ თბილისში და თაყვანი ვცეთ ილიას, აკაკის. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა ჩვენ მოღვაწეთა წმიდა საფლავებს.

ს. როკითის ქალიშვილების მონდობილობით ნადია საულის ასული კახიანი.

— —

სოფ. ჯურუყვეთი. (გურია) 4 თებერვალს მთელი ჯურუყვეთის საზოგადოების ოთხი სასწავლებლის და მახლობელი საზოგადოების ორი სკოლის მასწავლებელი მოწაფეებითურთ შეიკრიბენ ემალაურის

ილია და აკაკი.

„ერთ ბედქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ“.

ილიას დამარხვის დღეს, როდესაც ზღვა ხალხმა ილიას წმიდა გვამი გამოატარა იმ სახლთან, სადაც მაშინ ავათმყოფი აკაკი იწვა, გულდათუთქული აკაკი ლოგინიდან წამოიწია; ცხედარი დამანახეთო. ორმა მხლებლებმა ხელი მოსჭიდეს ავათმყოფს და ბალკონზე გაიყვანეს თავშიშველი, თმა-გაწეწილი აკაკი. ეს ზღვა ხალხი შედგა, სმენად იქცა. აკაკიმ თავზე ხელები შემოიკრა და შესჩივლა ცხედარს: ეს რას ვხედავ? რით მიღალატე ძმაო: **ერთ უღელში ვებით**, ჭაპანს ერთად ვეწეოდით, ახლა უღლიდან თავი გამოგიშვია მარტო დაგიგდივარ—გრცხვენოდეს! ახლა ცალიდა რის მაქნისი ვარ; რატო თან არ წამიყვანე? რად გამეყარეო?

აკი დღეს ისევ შეყრილან ეს ორი უკვდავი გმირი უკვდავ ქვეყანაში, გაბრწყინვებულნი, გამარჯვებულნი, დაგვირგვინებულნი ერის საუკუნო ხსოვნითა.

აკაკიმ მართალი სთქვა; ეს ჩვენი სიამაყე, „ქართველების პუშკინი“, მუდამ ერთ უღელშიება „დიდ ილიასთან“, ორივემ ერთ ჭაპანის წევაში დალიეს თავისი გრძელი ჭირის ცხოვრება და წმიდა სული.

რომ ამ მწერლების ბუმბერაზობა ძალუმად ვიგრძნოთ, უნდა თვალი გადავავლოთ იმას, თუ რა გარემოებაში მოუხდათ მათ საქვეყნო-სამოღვაწოდ გამოსვლა.

მეცხრამეტე საუკუნის კარზე მოიშალა ჩვენი ძველებური წესწყობილება.

გადასხოლასტიკდა ქართული სემინარიები და სხვა სასწავლებლები, გაჰქრა ძველებური მადლიანი მღვდლები, გამრავლდა ანაფორიანი ჩინოვნიკობა, დაკნინდა რჯული, დადუმდა განთქმული ძველებური ქართული გალობა ტაძრებში, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა კულტურული ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, რომელნიც ამშვენებდენ ჩვენს შინაურს რაინდულს ცხოვრებას, აცხოველებდენ და აპოეტურებდენ ჩვენს ყოველდღიურს შრომა-ვარამსა ჭირის და ლხინის დროს; დასუსტდა ჩვენი განთქმული ზრდილობაც, თავაზიანობა,—ერთი სიტყვით ჩვენი ეროვნობა გადაგვარების გზას დაადგა, გაქქანა, მაღალი წოდება ეროვნების სულიერის სიკვდილისკენ, არა-რაობისკენ მიისწრაფებოდა, თავი მიეცა ხორციელის ცხოვრების ღელვისთვის და ძილით დამთვრალი უანგარიშოდ დატივტივებდა სიამოვნების ზღვის ტალღებზე უგვრო-საჭეოდ, უაზროდ, როგორც ეს საუცხოვოდ გამოხატა ილიამ ნაღვლით სავსე ლექსში: „**რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით?**“

რას ჰფიქრობდა ამ დროს გლეხობა, ხალხი? გლეხობას მეცხრამეტე საუკუნის კარზედვე მძიმე უღელი დაადგეს მონობისა წინანდელი თავისუფალი გლეხობა იმ თავითვე ახალმა წყობილებამ „გააკრეპოსტნიკა“ ე. ი. იმავე მონობის ბორკილებით შებოჭა, რომლითაც რუსეთის გლეხკაცობა პეტრე დიდის დროიდან იყო შეკრული. მართალია, ჩვენმა გლეხობამ ეს ბორკილები ძლიერ იუცხოვა და ადგილ ადგილ სხვადასხვა დროს „იბუნტა“ (ჯერ ქიზიყში, მერე კახეთში, შემდეგ იმერეთ-გურია-სამეგრელოში), მაგრამ მთავრობას ვერ გააგებინა თავისი სიმართლე თავისის უფლებით და რაკი მკლავით ვერა გააწყო რა მთავრობის ძალასთან, დამორჩილდა და მონობის უღელს ქედი გაუყო, ველურ ჭაპანს მოთმენით ეზიდებოდა. კრეპოსტნიკობამ წაართვა ერს სოციალური, ადამიანური უფლებანი, საკუთრება, თავისუფლება; გააპირუტყვა იგი, გაალატაკა, მაგრამ მოთმენის მეტი სხვა გზა არ იყო... ილიას საუცხოვოდ აქვს გამოხატული გლეხის გულის ნაღველი ლექსში: „გადი გამოდი გუთანო“, სადაც მიწის მხვნელი ამხნევებს დაღლილ-დაქანცულ ხარებს და ეტყვის: „შენი უღელი ჩემს უღელზედა არ არის ძნელი“ და სხვა.

მართლაც „კრეპოსტნიკობამ“ პირუტყვულ მდგომარეობამდი ჩამოიყვანა გლეხობა. მაგრამ ვის შეეძლო კრეპოსტნიკობის სამარცხვინო უღლის გადაგდება მაშინ, როდესაც ამ უღელს „დაინტერესებულად“ იცავდენ მაღალი წოდება და „პოლიტიკანური“ ჩინოვნიკობა?

ასეთს ეროვნების ნგრევის დროს პრესსაც ხმას არ იღებდა. ან სად იყო მაშინ პრესსა? ნახევარი საუკუნე ისე გავიდა, რომ ერთიღა გაზეთი „თფ. უწყებანი“) გამოვიდა სულ ცოტა ხნობით და ერთი ჟურნალი იმავე სახელით, მაგრამ საერთო კითხვებზე აქ ვერას იპოვით: ამაზე სრული სიჩუმე. კრიტიკაც არ დაძრულა: „არ საიდან ხმა, არსით ძახილი“!... „სულ ძილი, ძილი“—ასე ახასიათებს ილია იმ შავ დროს ეროვნულის ჩვენის სიკვდილისას.

სამაგიეროდ ვარანცოვის ფულებით რომ თეატრი დაარსდა, ფეხი მოიდგა ეროვნების მიმაძინებელმა ქართულმა მწერლობამ. იმ დროს დაწერილს კომედიებში და ლექსებში გაცინებულია ჩვენი ეროვნული გრძნობები, ზნე ჩვეულებანი,

დაცინულია ქართველი ნამუსიანი მორცხვი მანდილოსნობა, მათი ურუსულობა, მორიდებული ქცევა, თავდაცულობა, თავდაჭერილობა.

ასე ღრმად იყო მიძინებული ჩვენი ეროვნება, ჩვენი სულიერი არსებობა, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე ერთ უღლად გამობრწყინდნენ ილია და აკაკი. ამათ პირველებმა ჩამორეკეს ეროვნული ზარა და ქართველობას პირველად მოგვესმა ზეციური ხმა სულიერად აღმადგენელი, გამომაფხიზლებელი, ეროვნულის სულის ჩამდგმელი, გულ გონების გამაცოცხლებელი. მართალია ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის უებრო ლექსებშიც გამოსჭვირვალებს ეს ეროვნული ხმა, მაგრამ სუსტად, როგორც სამშობლოზე გლოვა და არა როგორც ძალუმი მოწოდება ერისა. რაც ამ ეროვნულ სარბიელზე გამოვიდნენ ეს ორივე გმირი განუწყვეტლად და დაჟინებით ჩაგვძახოდნენ: „აღსდექით, ნუ გძინავთ!“ ოღონდ ილია ჭკუა-გონებით სავსე რუსთაველებრივის ლექსებით გვიმტკიცებდა, გვაჯერებდა, ხოლო აკაკი—გრძნობით სავსე გულით იმავე გვიქადაგებდა, გვიტაცებდა. შეუერთდა ბუმბერაზი გონება ილიასი ცეცხლებრ დამწველ აკაკის გულს და ამ ორმა შეერთებულმა ძალამ სასწაული მოახდინა: ქართულმა ეროვნებამ, ყველას რომ მკვდარი ეგონა, სიცოცხლის ნიშან-წყალი გამოიჩინა. ყველაზე უწინ ეს გვახარა აკაკიმ: „არ მომკვდარა—მხოლოდ სძინავს“! ახლა ძილისაგან გამოღვიძებას მოანდომეს ამ გონების და გულის დევებმა,—ილიამ და აკაკიმ,—მთელი ძალა მათის პოეტურ და პუბლიცისტურ ნაწარმოებისა, სანამ მათ გარეშე არ შეიკრიბა საკმაო რიცხვი უკვე გამოღვიძებულ საზოგადოებისა: დაარსდა სტამბა, გამოვიდა პირველი გაზეთი, გამობრწყინდენ ახალი მწერლები, მხარი მისცეს ილია-აკაკის, გაისმა რაფაელის ანგელოზებრივი ქნარი, გაჩაღდა ეროვნული მუშაობა, ილია-აკაკის პირვანდელი ნაპერწკალი ახლა ცეცხლის ზღვად იქცა, რომელმაც გზა გაუნათა ახალ მუშაკებს და მთელ ქართველობას შეაგნებინა, რომ არ მოკვდება ჩვენი რაინდი ერი, არ გაითქვლიფება იგი ძალად გარშემორტყმულ მწვირეში.

ორიოდე წლის წინ, რაჭაში მოგზაურობის დროს, აკაკიმ იმდენი ნიშნები ნახა ქართველთა ეროვნობის გამოფხიზლებისა, რომ გადარეულის სიხარულით გამოგვიცხადა: „აწ განმიტევეთ“, აქამდი იმას გახარებდითო, რომ ქართველობა არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს; ახლა კი შემიძლიან გახაროთ — ქართველობა კიდეც აღსდგა!

დახაც მართალი გვახარა აკაკიმ: აღსდგა ჩვენი ეროვნება! ამას ამოწმებს ის გასაოცარი ერთსულობა, რომელმაც საქართველოს ყოველ კუთხიდან მოუწვევლად და უპროპაგანდოთ შეჰყარა ეროვნულად გამოფხიზლებული ქართველობა წამებულის დიმიტრი ყიფიანის კუბოსთან, შემდეგ მეორე წამებულის ილიას ცხედართან და ახლა ხომ მთელი ქართველი ნათესაობა გარშემოყრილია აკაკის ახალ გათხრილ სამარესთან და მწარე ცრემლებს აყრის მის დიდი ხნის მოღვაწეობით დატვირთულს წმინდა სხეულს, ადმერთებს და ასაუკუნოებს მის სახელს.

ჭეშმარიტად ღვთისმშობელმა დროზე მოუვლინა მის წილყოფილ საქართველოს ილია და აკაკი!

ორმოცდა ათ წლიწადზე მეტი მას შემდეგ, როდესაც ოქუმის სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, სამურზაყანოში. ერთ

ეკლესიაში და პანაშვიდი გადაიხადეს დაუვიწყარი ერის მესვეურის, დიდებული აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრენ მთელი ადგილობრივი ინტელიგენცია და ურიცხვი სოფელი ქალი და კაცი. პანაშვიდის წინ მღ. ირაკლი აფხაზავამ გრძნობიერი სიტყვის გაუთვალისწინა დამსწრე საზოგადოებას უკვდავი პოეტის დიადი მოღვაწეობა. პანაშვიდის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ჯურუყვეთის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა—ბ. გრიგოლ ცენტერაძემ და ემლაურის სასწავლებლის მასწავლებელმა—ბ. მოსე ლიპარტიანმა. სიტყვებმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილებანი მოახდინა.

დამსწე.

სიტყვა

წარმოთქმული აკაკის დაკრძალვის წინა დღით ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში გორის წარმომადგენლის დ. ონიაშვილის მიერ.

სულმნათო! შენთან ერთად მოკვდა ჩვენი გული და დაობლდა სული, ნახევარ საუკუნის განმავლობაში დარაჯად უდგე ერის ცხოვრებას და მუდამ ებრძოდი ყოველგვარ უსამართლობას. გლეხსა თუ მუშას შენ აგრძნობინე ადამიანური ცხოვრება და დაუხატე იდეალად განახლებული სამშობლო. თვით ღამის წყვდიადში ეძებდი გმირებს და ნანას უმღერდი გლეხის პაწაწინა შვილს.. და, როდესაც ეს წყვდიადი გვშორდება, შენ მიდიხარ ჩვენგან და გვტოვებ მარტო... დიდება შენ სახელს! სამარადისო ხსოვნა შენ ღვაწლსა და ამაგს ერის წინაშე!... ჩვენ კი სანუგეშებლად დაგვრჩა მხოლოდ ცრემლები...

მაგრამ.. არა! აჰყვავდეს იმედი! ის ერი, რომელმაც შენ წარმოგშობა, უკვდავია, ვით მგოსნის სული,

„მოვა დრო და თავს აიშვებს
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი...

ჩვენ გვწამს, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედის წერა, რომ ერის დაფლეთილი სხეული კვლავ აღსდგება მკვდრეთით...

მშვიდობით დიდებულო მასწავლებელო! ფიცს დავდებთ ამ წმიდა საფლავის წინაშე, რომ არ ვუღალატებთ შენს აღთქმას და თუ სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს ჩვენგან მსხვერპლსა, მტლად დავედებით და შევსწირავთ მას ჩვენს სიცოცხლეს!.. დაწყევლილ იყოს ერის მოღალატე! „კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!

მრავალტანჯულო ერის სულო! რამდენმა ცეცხლმა და მახვილმა გადაიარა შენ თავზედ, მაგრამ მაინც სცოცხლობ და იცოცხლებ მარად! გამხნევდი დღესაკ!

„გაუფთხილდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი, მზეობა.
...ტარიელი დაგეძებს
გავარდნილი ტყე-ველად,
ავთანდილი ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად!..“

და შენ, წამებულო ქართლის დედა, ნუღარ სტირი ცხარე ცრემლებით: აღსრულდა შენი ნატვრა. ცეცხლის ალში იწვის მონობის ბორკილი და მზის სხივებზედ ბრწყინავს ბედი ქართლისა!.. მიმოიხედე გარშემო! ხედავ ამ ხალხის აზვირთებულს გრძნობას? ყური დაუგდე ბრძოლის ველზედ შენ დაჭრილ შვილთა გულისა კვნესას!

დღეს მასწავლებელმა გაზეთ „დროებაში“ კლასში ამოგვიკითხა აკაკის ლექსები. ამოდენა თითქმის გადაგვარებული შეგირდობა სმენად გადაიქცა. იმ დღიდან მასწავლებელს მოსვენებას არ ვაძლევდით, გაზეთს ვაზიდვინებდით კლასში, აკაკის ლექსებს ცალკე რვეულებში ვიწერდით და გაკვეთილებს გარეშე გავიზეპირებდით ხოლმე. ასე შეგვაყვარა აკაკიმ ქართული ენა! ასე გაგვიტაცა „პატარა კაცუნები“ მის ლექსებში გატარებულმა საერო აზრმა—იდეამ, რომელსაც ჩვენ მაშინ მხოლოდ ვგრძნობდით, მაგრამ მაინც გულს გვინათებდა, ცხოვრებას გვიაზროვნებდა, ენერგიას გვიდიდებდა სწავლისადმი, სულიერად გვზრდიდა და გვახარებდა.

ორიოდ სიტყვაც: დიდია აკაკის ეროვნული მოღვაწეობა, უებროა მისი პოეტობის მაღალი ნიჭი, მაგრამ მაინც, ჩემის აზრით, აკაკის უკვდავება იმალება უმთავრესად მის ქართულ ენაში, მისგან შექმნილს ენის ნიმუშებში. რაც უნდა ნაკლულევანი ყოფილიყო შინაარსის მხრით აკაკის ნაწერები, აკაკის წმინდა, ყველასათვის გასაგები, მოქარგულ-მოკაზმული ჰაეროვან-ეთეროვანი ენა საუკუნო ნიმუშად დაედება მომავალ ქართულ მწერლობას, როგორც პუშკინის ენა ქვაკუთხედ გახდა რუსულ ენის სწრაფად განვითარებისა. უდიდესი სამკაული აკაკის გვირგვინზე არის სწორედ ეს „აკაკური ენა“: *) **აკაკი ქართველების პუშკინია.**

თ. ჟორდანია.

რედაქციისაგან.

ჩვენს რედაქციას მგოსან აკაკის გარდაცვალების გამო კვლავ ბევრი სამგლოვიარო წერილი მოსდის სხვადასხვა კუთხიდან და პირებისაგან, რედაქციამ მიიღო აგრეთვე მრავალი სიტყვა, წარმოთქმული აკაკის პანაშვიდებზე სხვადასხვა ადგილს. უადგილობისა გამო რედაქცია ყველა სიტყვასა და სამგლოვიარო წერილებს სამწუხაროდ ვერ ბეჭდავს.

მივიღეთ შემდეგი სიტყვები: მღვდელ სილ. შუბლაძისა, სტუდენტ დავ. ბზიავასი, სტ. ივანე იოსავასი, ილიკო ნიჟარაძის. და სხ.

სამგლოვიარო წერილები: სოფელ შროშადან, გიორგი ბუაჩიძისა, ან. პატრიაშვილისა, ვან. დ. მიქელაძისა, ბ. უჩანეიშვილისა, ვარლამ გუგუნავასაგან და სხ.

მიღებულია აგრეთვე ორასამდე ლექსი, რომელთა დაბეჭდვა შეუძლებელია.

აკაკის ხსოვნას.

ცამ დაიჭექა, მრისხანეთ,
მეხმაც დაიგრიალა;
მზე დაგვიბნელდა, მნათობი,
ჩანგი დავკარგეთ წკრიალა!
თვალს მოსწყდა ცრემლის ნაკადი,
კალთა ცრემლებით ავევსო,
თვალი დავკარგეთ ნატვრისა,—
გულზე ისარი დამესო!
ცასაც შევნიშნე სიბნელე
გლოვის ზეწარი ჰფენია,
ქირისუფალი აღარ გვყავს,
მომედო ცეცხლის გენია!
ვინ გაგვიძღვება აწ წინა
მოძღვრად,—აღთქმისა ქვეყნადა,
ვინ დააჟღერებს ჰიმნს ჩანგზე,
დაჩაგრულთ წინსავლელადა!
გულის სიღრმიდან ნაკვესი
ვის დაუტოვა ნაშთათა?
ვაი, თუ თანვე წარიღო,
სულის თქმა წაჰყვა დარდათა!
მისგან ამაყი იქადდა
ჩვენი ქართველი ერია,—
მისგან ვტკბებოდით სუყველა:
პატარა, დიდი, ბერია!
ბუნებავ! რისთვის გვიმუხთლე,
კარგათ იფიქრე,—ჯერია
აკაკი რისთვინ წაგვართვი,
ჩაგვაცვი შავი ფერია? *)

ავ. ამირიძე.

ახალი ამბავი.

✦ თფილისიდან გვატყობინებენ, რომ მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის სახელით გუშინ აკაკის საფლავი შემკობილ იქმნა ვერცხლის გვირგვინით. დილის 11 საათზე მამადავითის ეკლესიის გალავანში თავი მოიყარეს: პოეტის შვილმა ალექსიმ, პოეტის ნათესავებმა და აკაკის დაკრძალვის გამგე კომიტეტის წევრებმა. ამ დროსთვის მთაწმინდაში მივიდა მის უმაღლესობის მდივანი უმაღლეს კარის კამერ-იუნკერი მაიხროვსკი და დიდის მთავრის სახელით ვერცხლის გვირგვინით შეამკო აკაკის საფლავი. გვირგვინს რუსულად აქვს წარწერა: „თავადს აკაკი წერეთელს დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძისაგან“. ბ-მა მაიხროვსკიმ აკაკის შვილს და ქვრივს თანაგრძნობა გამოუცხადა საერთო საეროვნო მწუხარების გამო. ამის შემდეგ კომიტეტის სახელით მას მიმართა გრ. ნ. დიასამიძემ და სთხოვა, მადლობა გადაეცა მის იმპერატორებით უმაღლესობისთვის ამ ყურადღებისა და პატივისთვის. ბ-მა მაიხროვსკიმ კომიტეტსა და მთელს ქართველ ერს დიდის მთავრის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა დიდის დანაკარგის გამო.

✦ რუს კაპიტალისტების ჯგუფმა ბორჯომის საუფლისწულო მამულების სამართველოს წინადადება მისცა მამულის იჯარით აღების შესახებ. კაპიტალისტები აპირობენ სანატორიუმის, სასტუმროებისა და კლიმატიურ სადგურების მოწყობა-გაკეთებას.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში შესდგება გასტროლი დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის ასულისა. წარმოადგენენ „მედეას“. ქ-ნი ჩხეიძეს აგერ ორი სეზონი გადის, რაც ქუთაისის სცენაზე მონაწილეობა არ მიუღია.

✦ 12 თებერვალს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში შესდგა მამასახლისთა საზოგადო კრება. კრებამ შემდეგი დაადგინა:

1) დარჩეს ისევ მამასახლისებათ ძველი მამასახლისები.

2) დაინიშნოს აკაკის სახელობის ერთი 360 მ. სტიპენდია ქართველი სტუდენტისათვის რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში.

3) ყოველ-თვიურათ გადასცენ დამხმარე კომიტეტს ჯარში გაწვეულთა დასახმარებლათ 50 მანეთი.

4) აძლიონ წმ. ნინოს ქართულ ლაზარეთს ყოველ თვიურათ 50 მანეთი, და

5) აეკრძალოს მამასახლისებს საზოგადო საკრებულოს დარბაზში უწესრიგოთ თარეში.

✦ კავკასიის სამოს. წ. ოლქის მზრუნველს, კერძო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შესახებ გამოუცია ახალი წესდება, რომელიც ძალაში შევა მომავალი სექტემბრიდან.

✦ ამ დღეებში ჟენევიდან ქუთაისში ჩამოვა ახლად კურს დასრულებული ექიმი ქალი ელენე ლავრენტი მახარაძის ასული.

✦ როგორც გავიგეთ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ცირკულიარი გამოუცია, რომ ამიერ კავკასიაში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სწავლა უსათუოდ 14 მარტისთვის უნდა დასრულდეს. მოსამზადებელი კლასის მოწაფეები შემდეგ კლასებში გადაყვანილ იქნება ნიშნების მიხედვით. მესამე კლასში გამოცდები მხოლოდ ზოგ მოწაფეებს ექნებათ. მეოთხე კლ. მოწ. გამოცდები ექნებათ 18 მარტს. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოწაფეებს წერითი გამოცდები ექნებათ 16—17 და 18 მარტს, ზეპირი გამოცდები კი 30 მარტს. სიმწიფის მოწმობების მისაღებათ გამოცდები იქნება წერაში 18—19 და 20 მარტს, ხოლო ზეპირში პირველიდან დამლევ აპრილამდი.

✦ დღეს, სომხების სკოლის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო საღამო გამოქცეულთა სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის გასაწვევ უბანში, ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ 17 თებერვალს დასრულდება. ტყიბულის გასაწვევ უბანში დაიწყება 19 თებერვალს.

17 თებერვალს, სასამართლო გაარჩევს აკ. შინგელაიასა და აკაკი კედიას საქმეს.

✦ როგორც დ. აბაშიდან გვწერენ, იქ შიმშილობა ყოფილა. ხალხი მთავრობიდან დახმარებას მოელის.

✦ 13 თებერვალს, ქალაქის თეატრში ქართველ მომღერალ ივ. სარაჯიშვილის მონაწილეობით თფილისის სახაზინო თეატრის მსახიობებმა გამართეს კონცერტი. ვ. სარაჯიშვილმა ქართული სიმღერებიც შეასრულა.

✦ დღეს გამოვიდა „განთიად“-ის № 4, რომლის შინაარსი მთლიათ აკაკის ხსოვნას ეკუთვნის. მისი შინაარსია: 1, ქართველ ერს, კომიტეტი, ლექსები: 2, დამარხვა აკაკისა, 3, განთიადი, 4, ავათმყოფი მგოსანი, 5 სულიკო, 6, სიკვდილი- -მისივე, 7, ვარსკვლავი— გვაზავარი, 8, აკაკის ხსოვნას—ცახელისა, 9, მოგონება—ს. ზახტაძისა, 10, აკაკის გამოსვენება საჩხერიდან, 11 აკაკის დაკრძალვა თბილისში, 12, სიტყვები: 13, ნ. ნიკოლაძისა, 14, ევ. გეგეჭკორის, 15, ეგზარხოსის პიტირიმისა, 17, კ. აბაშიძისა, 17, ტაბიძაშვილისა, 18, ხატისოვისა, 19, კაიკაციშვილისა, წერილები, 20 ნ. ჟორდანიასი და 21 აკაკი და ხალხი—არიელისა.

მოწერილი ამბავი.

ორშაბათს, 2 თებერვალს, დ. ბაღდადში საკოპაძეთს ეკლესიის ზარების ხანგრძლივმა სამგლოვიარო რეკამ დიდძალ ხალხს მოუყარა თავი. მღ. ლ. ჯიშკარიანმა გადაიხადა პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ. გალობდა ადგილობრივი სოფლის მგალობელთა გუნდი. პანაშვიდის დროს ყველა სავაჭროები დაკეტილი იყო. მღ. ლ. ჯიშკარიანმა და გ. ახვლედიანმა სიტყვები წარმოსთქვეს, რომლითაც განუმარტეს დამსწრე საზოგადოებას აკაკის დიადი ღვაწლი სამშობლო ქვეყნის წინაშე. აქვე მოიკრიბა აკაკის სახელობის ფონდისთვის ფული, რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცემა. აარჩიეს დეპუტაცია დიდი მგოსნის დაკრძალვაზე დასასწრებად.

მკითხველების საყურადღებოთ.

დღევანდელ გაზეთთან ჩვენ მკითხველებს ეგზავნებათ პირველი ნუმერი სურათებიან დამატებისა.

ჩვენ აზრათა გვაქვს შევქმნათ დასავლეთ საქართველოსათვის ღირებული **ქართული ორგანო ღირსეულის დამატებით**, ამიტომ უმორჩილესათ ვსთხოვთ ჩვენ მკითხველებს ხელი შეუწყონ ჩვენის გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ ფოტოგრაფიული სურათები ომში დაჭრილთა და მოკლულთა, საზოგადო მოღვაწეებისა, შესანიშნავ ნაშთებ-ნანგრევებისა. და სხვა.

იმედი გვაქვს მკითხველები უყურადღებოთ არ დაგვტოვებენ.

რედაქცია.

ნათელას მოთქმა.

ღარა გვყავს გმირთა-გმირი!..
მიიძინა მშიდად... ნელა!..
აღარ „ჰკვესავს ბნელს იმედით“!..
ირგვლივ ბნელა!... ბნელა!.. ბნელა!..

დაგვაობლა დედამ... მამამ!..
ხმას აღარ გვცემს!.. არ გვეშველა!..
მო, ვსტიროდეთ ძაძით.., ფლასით,
მო, ბედკრულნი, ყველა, ყველა!..

მოვსთქვათ ბოღმით, ნაღვლით,
ცრემლით...
ჩვენი ბედი, ჩვენი წერა...
ზარის ხმაზე... საწყლად, მძიმედ!..
აღარ გვესმის დელა-დელა!..

გაწყდა სიმი ძველი ჩანგის!..
დაგვეკარგა მისი ჟღერა!..
უბედურო საქართველო!
რას გიმღერის დღეს ნათელა!?!

აღარა გვყავს გმირთ-გმირი!..
მიიძინა მშვიდად... ნელა!..
აღარ „ჰკვესავს ბნელს იმედით“!..
სულში ბნელა, ბნელა, ბნელა!..*)

მ. კელ—ძე—ტონკმელი.

ანკეტა ებრაელთა საკითხის შესახებ.

ლ. ანდრეევი, ფ. სოლოგუბი და მ. გორკი საზოგადოებას შემდეგი ანკეთით მიმართავენ:

თქვენ კარგათ უწყით, რუსეთში მყოფ ებრაელების გაჭირვებული და აუტანელი მდგომარეობა, კარგათ იცით ისიც, რომ ებრაელები რუსის საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ. თქვენთვის ცხადია ისიც, რომ ებრაელები რუსებთან ერთად ხელჩართულნი რუსეთს მტრისაგან იცავენ რუსეთის საკეთილდღეოთ. ებრაელების ასეთმა თავგანწირულმა ბრძოლამ, ვგონებთ, (ანტისემიტიზმი) ებრაელებისადმი სიძულვარის გავრცელება უნდა დათრგუნოს; ჩვენ არ ვამბობთ სრულებით აღმოფხვრას, დროებით მაინც უნდა შეაჩეროს. მიუხედავათ ამისა, ებრაელებისადმი სიძულვარის თესვას ბოლო მაინც არ ეღება. სირცხვილია [illegible] [illegible] -ნელიც ასეთი მოვლენა, [illegible] ძალღონე შეგვწევს [illegible] მოვლენას უნდა შევებრძოლოთ. ამისთვის ჩვენ თხოვნით მივმართავთ პატიოსანსა და გონიერებით აღსავსე რუსის ხალხს, მოგვცეს პასუხი ჩვენ მიერ წამოყენებულ საკითხებზე და თავისი აზრი გამოსთქვას. ჩვენ გვსურს ყველას აზრი შევკრიფოთ და ერთ წიგნათ გამოვსცეთ, იქნებ ასეთმა საშუალებამ რუსის ხალხს შეძლება მისცეს ებრაელების საკითხი გამოარკვიოს და დაიცვას ებრაელების უფლება იმ ქვეყნის მოქალაქეთა თანასწორათ, რომლის კულტურასა და თავისუფლების საქმეს ისეთივე ენერგიით და კეთილსინდისიერათ ემსახურება როგორითაც რუსეთის ღვიძლი შვილნი.

1) ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ანტისემიტიზმი, როგორც საზოგადო მოვლენა, აღმოცენდა და გავრცელდა დასავლეთ—ევროპის ზეგავლენის ქვეშ. 2) ანტისემიტიზმის გაღვივებას რუსეთის ხალხის განვითარებაზე რანაირი გავლენა ექნება. 3) ანტისემიტიზმს რუსეთ მეურნეობის ზრდაზე როგორი გავლენა ექნება. მეოთხე ებრაელების უუფლებობას, როგორც ფაქტს, როგორი გავლენა ექნება ანტისემიტიზმის განვითარებაზე. 5) ნუ თუ თქვენ არა გგონიათ, რომ ანტისემიტიზმი, როგორც ეროვნული ცრუმორწმუნოების მთესველი, რუსეთისთვის დამღუპველია. 6) თქვენის აზრით, დასავლეთ-ევროპასა და რუსეთში ხელოვნებისა და საზოგადო-კულტურულ ცხოვრების დარგებში ებრაელები რა როლს ასრულებენ. 7) ვერ შეგიძლიათ გვაცნობოთ თქვენი მოგონებანი და დაკვირვებანი, რომელიც, როგორც რუსეთისა, ისე დასავლეთ-ევროპის სულიერსა და პრაქტიკულს ცხოვრებაში ებრაელების მოღვაწეობას შეეხებოდეს. 8) რა ნაირი ზომები უფრო მიგაჩნიათ შესაძლოთ რუსეთში ტომთა და ეროვნული შუღლის გაღვივების წინააღმდეგ მისაღებათ?

ომი.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

პეტროგრადი. 13 თებერვალი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: ნემანზე გადმოსული მტრის ჯარი სვენტოიანსკთან, გავფანტეთ მარცხენა ნაპირისაკენ. აქ, გროდნოს სიმაგრეების ჩრდილოეთით, ბრძოლა გრძელდება დიდ სივრცეზე. ზოგიერთი სოფელი ხელიდან ხელში გადადის. 12 თებერვალს, დღის 4 საათ. გერმანიის საალყო არტილერიამ, ოსოვეცის ციხეს მძიმე კალიბრის ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინა. ბობრისა და ედვაბნოს შორის გერმანელებმა თავგანწირული იერიში მოიტანეს, მაგრამ მტრისთვის დიდი ზარალით მოვიგერეთ. პრასნიშის რაიონში ვაიძულეთ მტერი 40 ვერსის სიშორეზე უკან დაეხია. მტრის კონტრიერიშები, ხელჩართულ და შეუპოვარ შეტაკებების შემდეგ, უკუვაგდეთ. ჩვენი ჯარი განაგრძობს იერიშს იმ სოფლებზე, რომელშიაც გამაგრდა მტრის საგრძნობელი ნაწილი. ამ ბრძოლებში ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 გერმანელზე მეტი და ვიხელთეთ მრავალი ტყვიის მტყორცნელი. ვისლის მარცხენა ნაპირზე მტრის იერიში მოვიგერეთ. ბორჟიმოვის რაიონში, ჩვენ შევინარჩუნეთ 11 თებერვალს, წამოღებული ფოლვარკ-მოგელი. გამოირკვა, რომ მტერმა ამ რაიონში დიდი ზარალი ნახა: ჩვენ ვიხელთეთ 4 ნაღმის მფრქვეველი.

დასავლეთ გალიციაში, ზაკლიჩინის რაიონში, ჩვენ მოვიგერიეთ საბოლოვოთ მტრისაგან რამდენჯერმე განმეორებული იერიში. მტრის ზარალი ამ რაიონში მეტათ დიდია. კარპატებში მდგომარეობა არ შეცვლილა. აღმოსავლეთ გალიციაში ჩვენ მოვიგერიეთ ავსტრიელების ოთხი იერიში, სადაც დავატყვევეთ 400 ავსტრიელზე მეტი. მტრის მოწინავე ნაწილები გავრეკეთ ხომინიდან კალუშიდან და რიბნოდან.

პეტროგრადი. 13 თებერვალი. მიღებულია დამატებითი ცნობები, რომ ჩვენმა გამარჯვებამ პრასნიშის რაიონში 11-ს 12-სა და 13 თებერვალს გათენებისას ძალიან ფართო ხასიათი მიიღო. ჩვენი ჯარი მუსრავსა რა მტრის წინააღმდეგობას, სწრაფათ წინ მიიწევს. მტერი მთელ ამ ფრონტზე უკან იხევს და გვიტოვებს ჩვენ ტყვეებს, იარაღს, ტყვიისმტყორცნელებს, ურმებს და სხ. ჩვენი ჯარების გამარჯვებას ძლიერ უწყობს ხელს ჯავშნიანი ავტომობილები, რომლებიც, ხან და ხან რამდენიმე ათეული ნაბიჯზე უახლოვდებიან მტერს. მტრის ზარალი მეტათ დიდია. გამოირკვეულია, რომ ამ დღის განმავლობაში ჩვენ წამოგვიყვანია ტყვეთ 38 გერმანელი აფიცერი და 2600 ჯარის კაცი. წამოგვიღია 7 ზარბაზანი და მრავალი ურემი.

---

*) აკაკის ენა შესანიშნავია იმითაც, რომ ძველ რუსთველურს ენას გრამატიკულად არ გაშორებია და ხალხურ თქმასთან დაუახლოვებია მწერლობითი ენა.

*) ეს ლექსი ავტორმა, თფილისელმა მესაზანდრემ, წაიკითხა 8 თებერვალს, აკაკის დაკრძალვის დღეს,—ქუთაისში პანაშვიდის გათავებისას. რედ.

*) წარმოთქმული 8 თებერვალს, აკაკის დასაფლავების დღეს ქუთაისის საქალაქო ბაღში, პანაშვიდზე. რედ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პეტროგრადი. 13 თებერვალი. კავკასიის ჯარების შტაბისაგან: ჭოროხის რაიონში 11 თებერვ. ჩვენი ჯარი დიდის გამარჯვებით წინ მიიწევს. დანარჩენ ფრონტე ცვლილება არ მომხდარა.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პარიზი. 12 თებერვალი. ოფიციალური. ლომბარდლზიდეს ახლოს ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა გაანადგურა მტრის ერთი ბოგკაუზი და რაოდენიმე სიმაგრე. შამპანიაში ჩვენ მოვიგერეთ მტრის ყველა კონტრიერიში და გუშინ აღებული პოზიციები ყველა შევინარჩუნეთ. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს 60 ყუმბარა რკინის გზის სადგურთან, რითაც დაზიანდა სადგური, მატარებლები და ჯარების თავმოსაყარი ადგილი. დანარჩენ ფრონტების ბრძოლას კერძო შეტაკების ხასიათი აქვს. მენილიეს ჩრდილოეთით ჩვენ დავიკავეთ გერმანელების რაოდენიმე სიმაგრე.

ლონდონი. 12 თებერვალი. საადმირალო იუწყება, რომ 15 თებერვლიდან გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ინგლისის 7 გემი.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

სტოკჰოლმი. 13 თებერვალი. უკვე რაოდენიმე დღეა გერმანიის გაზეთები ბეჭდავენ დიდი ასოებით და განსხვავებულის სათაურებით გაზეთებს, თავის სამხედრო გამარჯვების შესახებ. როგორც სჩანს, ეს ნაბრძანებია მთავრობისაგან, რომ ყველა მკითხველებმა ერთნაირი შთაბეჭდილება მიიღოს. ეს ზომა მიღებულია უფრო იმიტომ, რომ 14 თებერვალს იმართება ხელის მოწერა გერმანიის მეორე სესხზე განუსაზღვრელის თანხით აი, ამ გარემოებით მთავრობას სურს სესხის საკითხი უზრუნველ ჰყოს.

სიმბირსკი. 13 თებერვალი. მეცნიერთა საარქივო კომისიისგან რუსეთში გამართულ ხელის მოწერამ სიმბირსკის მკვიდრის გონჩაროვის ძეგლის ასაგებათ შეაგროვა 100 ათასი მანეთი.

ბუქარესტი. ერთი ოფიციალური გაზეთის ცნობით, დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება რუმინიასა და ბულგარეთს შორის. რუმინია ყოველდღე გაატარებს თავის ტერიტორიაზე ავსტრო-ჰუნგრეთიდან და გერმანიიდან 36 ვაგონ საქონელს. ბულგარეთი კი ვალდებულია სამაგიეროთ ამდენივე საქონელი გაუშვას რუმინიაში სალუნიდან და დედაგაჩიდან. ამ შეთანხმებაში მოხსენებულია უმთავრესათ ის, რომ არც ერთ ამ სახელმწიფოს უფლება არა აქვს მიაწოდოს ერთი მეორეს სამხედრო სურსათი და საომარი მასალა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ბელგიის სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე ლეოპოლდი, დაბადებიდან 14 წლისა, ბელგიის ჯარში ჩაეწერა.

——

ჰოლანდიის მთავრობამ გერმანიის მარშრუტი არ მიიღო. ჰოლანდიის გემები ჩვეულებრივი მარშრუტით იმგზავრებენ. ჰოლანდია გერმანიასთან დიპლომატიურს დამოკიდებულებას შესწყვეტს, თუ გერმანია კვლავ ჰოლანდიის გემებს ჩასძირავს.

გერმანია ბელგიელებისათვის საკვებ სურსათით დატვირთულ გემებს არ უშვებს.

——

საზღვარგარეთ დარჩენილ რუსთა დამხმარე კომიტეტს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ იქ, რუსის საელჩოსთან ლიეჟის უნივერსიტეტის სტუდენტების მაძიებელი კომიტეტი შესდგა.

——

ვარდედან იტყობინებიან, რომ გუშინ, საღამოს, ბლაავანდან ჩრდილოეთით 11 გერმანელი გამოჩნდა, მათ შორის ერთი ფეხ მოტეხილია. მათ განაცხადეს, რომ ცეპელინიდან უცბათ ადვილას ჩამოვხტითო. პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

——

ავსტრიის მთავრობამ ძველი ფული გამოვა, რომელიც დიდი ხანია რაც ხმარებაში აღარ იყო.

——

ერთ დროს გავრცელებული ხმები გერმანიის კრეისერების „კარლსრუეში" და „პრინც-ეტილ-ფრიდრიხის" დაღუპვის შესახებ არ მართლდება. ინგლისის საადმირალოს პირველ წარმომადგენელს ლორდს ამის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან ჰქონდა კერძო საუბარი, რომელმაც უთხრა შემდეგი: „კრეისერები „კარლსრუე" და „დრეზდენი" თავისი მაშველი კრეისერებით „კრონპრინც-ვილჰელმით" და „პრინც-ჰეიტელ-ფრიდრიხით" თავისუფლათ იმყოფებიან. ჩვენ არ ვიცით მტრის ეს ოთხი კრეისერი სად იმალება, მაგრამ მტერი მათ ფარულათ შენახვას კი საჭიროობს.

ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

დღევანდელი მსოფლიო ომი ისეთი მწვავე ხასიათის შეიქნა და ისე ჩააფიქრა კაცობრიობა, რომ გუშინდელი მტრები დღეს ერთგულ მოყვრად გადააქცია, მჭიდროდ შეაკავშირა ერთმანეთთან და ასე ამნაირად შეკავშირებული ძალ-ღონით იბრძვიან დღეს საერთო მტრის წინაამდეგ. არც ერთს მებრძოლ სახელმწიფოში პარტიათა სხვადასხვაობა, ქიში და უთანხმოება აღარ არსებობს; თვით სოფლად და ქალაქად ხალხი ერთი აზრით და ერთი მიზნით არის გამსჭვალული და ყველა ომისკენ გაიყურება. ეს ასეა დღეს ყველგან მებრძოლს სახელმწიფოებში და სამართლიანიც არის, მაგრამ ჩვენში კი სოფლად დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერავითარ ამის მსგავს ვერ ვამჩნევთ. ხალხი სოფლად უკიდურესს პესიმიზმს შეუპყრია და საშინელს სასოწარკვეთილებას მისცემია! და მერე ვისი წყალობით ეს? ორიოდე ყოვლად ზნე დაცემული, მექრთამე ვაჟბატონების მოქმედებით, რომლებიც ათასნაირს ინსინუაციებს, ჭორებს და ბევრს ცუდს ხმებს ავრცელებენ ხალხში თავისი გაუმაძღარი კუჭის სასარგებლოდ. ასეთი მავნე პირები, მოგეხსენებათ, ყოველს სოფელს, თუ ბევრი არა, ორი, სამი მაინც მოეპოვება.

ამ ორიოდე კვირის წინად გავრცელდა ხალხში ხმა მათი წყალობით: არიქა ტყეებს აკავებენ, ვისაც გაქვსთ მოსჭერით, თორემ „შემდეგში სახაზინოდ შეირიცხება და თქვენ კი პირ-ცარიელი დარჩებითო" და სხვა... სოფლის ხალხმა ამის გაგონებაზე წაუსვეს ხელი და სულ უბრალო ჩირგვებიც კი აღარ დაინდვეს, სულ ერთიანად გადაჩეხეს და მთლად გულ საკლავად მოატიტვლეს მთელი არემარე, რომელსაც დღემდის მშვენიერი ტყე ამკობდა. მე აქ არც იმის მტკიცებას გამოვუდგები, თუ რამდენად სასარგებლოა ხე-ტყე და ან რას მოასწავებს მისი ერთიანად განადგურება, რადგან ეს მგონი ყველა ჩვენგანისთვის ცხადის-უცხადესია, მხოლოდ თუ ასე უთავბოლოდ ტყეების ჩეხვა გაგრძელდა და რაიმე ზომები არ იქნა მიღებული, ვისგანაც ჯერ არს, უეჭველია, სულ ცოტა ხანში ბევრი ჩვენი სოფელი დაემსგავსება ნამდვილ არაბეთისა და აფრიკის ტიტველ უდაბნოებს, სადაც რაოდენიმე ვერსს ისე გაივლის კაცი, რომ ვერც ერთს ძირ ხეს შეხვდება და ვერც დასალევ წყალს იპოვნის. ნათქვამის დასამტკიცებლათ საკმაოა მოვიყვანოთ ერთი მაგალითი:

ამას წინად სოფელ ხრეითისკენ ვიმგზავრე. თან მახლა ერთი თანამხლებელი. მგზავრობის დროს ჩემს თვალ-წინ ბევრნაირი საოცარი მომხიბვლელი სურათი იშლებოდა. მივუახლოვდით რა ხრეითს, სურათი თანდათან გამოიცვალა; შორიდან მოვკარი თვალი მისს მშვენიერ მთებს, უზარ-მაზარი ხე-ტყით დაბურულს. ჩვენი გზა პირდაპირ მთასა და მთას შუა მიემართებოდა პატარა მდინარის პირას. როგორც იქნა ავედით მთის წვერზე და იქიდან გადავხედეთ სოფელ ხრეითს. ხრეითს საუცხოო მდებარეობა ჰქონია; ვაკე ადგილზეა გაშენებული, თვითონ სოფელი კარგა მოზრდილია და ირგვლივ მთები არტყია. გადავედგით რა სოფელში, სურათი უეცრად გამოიცვალა და ჩემს თვალწინ წარმოსდგა მწარე სინამდვილე; შესევიან მცხოვრებლები საუცხოოდ ხე ტყით დაბურულს მთებს, რომლებიც სახელმწიფოდ არაა ჩარიცხული და უწყალოდ ანადგურებდენ. მე და ჩემი თანამგზავრი განგებ მივუახლოვდით რამდენიმე მათგანს და შევეკითხე, თუ რა იყო მიზეზი ტყის ასე ერთიანად მოსპობის. შეკითხვაზე მომიგეს: —„რა ვქნათ, ბატონო, როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, აკავებენ საზოგადოდ ტყეებს და უმჯობესია ბარემ, ვიდრე დააკავებდენ, ჩვენი საქონელი ჩვენივე ხელით მოვსპოთ, ვინაიდან მერე სულაც აღარავინ გაგვატარებს შიგაო" და სხვა... ჩემმა მტკიცებამ ამ ხმების უსაფუძვლობის შესახებ ნაყოფი ვერ გამოიღო და კვლავ შეუდგნენ ტყის გაჩეხვას. ხე-ტყის ასე ერთიანად მოსპობა ნამდვილ სიკვდილის ნიშანია და მიკვირს ძალიან, ვინ გაავრცელა ასეთი საზიზღარი ხმა ხალხში და ან რატომ არ ღებულობენ რაიმე ზომებს ასეთი ვაჟბატონების წინაამდეგ?!

ი. ძერულისპირელი.

„ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲘ".

დრ. 5 მოქმ. აკაკისა, ხუთშაბათი, 12 თებერვ.

გუშინდელმა წარმოდგენამ მომაგონა შემდეგი ამბავი. ჩვენი დიდება, ახლად გარდაცვალებული მგოსანი მოსკოვში ბრძანდებოდა. ახალგაზდობა თავს ვევლებოდით, თვალებში შევცქეროდით და სურვილს დაბადების უმალ ვუსრულებდით.

აზრად მომივიდა მოსკოვის გამოჩენილი თეატრი—სამხატვრო თეატრი—მეჩვენებინა ჩვენი სიამაყისთვის, მით უფრო, რომ აკაკი ჩვენი დრამატურგი იყო და ამას გარდა ერთ დროს ქართულ დასს თფილისში რეჟისორობდა. შევატყობინე თუ არა თეატრის დირექციას ჩემი სურვილი, მაშინვე დიდის ხალისით მთხოვეს თეატრის სახელით დაპატიჟება და საპატიო მისია, როგორც ამ თეატრის წევრსა და მასთანავე დიდებული მგოსნის თანამემამულეს წილად მე მხვდა. ვეახელ აკაკის სასტუმროში და მოვახსენე ჩემი დავალება. პოეტი დასთანხმდა. შევუდექით არჩევანს, რომელ წარმოდგენას დასწრებოდა, რადგანაც აკაკის დრო ცოტა ჰქონდა. მე ვურჩიე წამობრძანებულიყო ასტროვსკის პიესის „На всякаго мудреца—довольно простоты"ს წარმოდგენაზე. ვხელმძღვანელობდი მით, რომ მგოსანს შეეძლო ამ პიესით გაცნობოდა თეატრის შემოქმედებას, რადგანაც აკაკი პირველად ესწრებოდა ამ თეატრის წარმოდგენას.

ამ საღამოს თამაშობდენ ყველა საუკეთესო ძალები ხსენებული თეატრისა: სტანისლავსკი, კაჩალოვი, მასკვინი, გერმანოვა.

აკაკი დასთანხმდა. მაგრამ სამწუხაროდ ერთმა იქაურმა ქართველმა, რომელსაც ვახშმად ჰყავდა დაპატიჟებული აკაკი და ხათრი ვერ გაუტეხა, გადაათქმევინა თავისი სურვილი და ჩვენმა მგოსანმა მხოლოდ მეორე დღეს, კვირა დილის წარმოდგენა—მეტერლინკის „ლურჯი ჩიტი"—ინახულა. მთელი წარმოდგენა დიდის ყურადღებით მოისმინა. ვინც იცნობს ამ პიესას ეცოდინება, რომ იქ სანახაობა სძლევს შინაგან განცდას. მსახიობთ ალეგორიულ არსებათა განახიერება უხდებათ და ამიტომაც, ძნელია თვით მსახიობთა ნიჭის დაფასება და თეატრის სახის გაცნობა. იმ დილით კიდევ დუბლიორები—მეორე ხარისხოვანი მსახიობნი თამაშობდენ როდესაც მგოსანს დავეკითხე ჩვენ სცენაზე ხომ კარგი იქნება ეგ პიესა მეთქი, მან ნაღვლიანად გაიღიმა და მიპასუხა: „აბა სად ასეთი პიესა და სად ჩვენი დღევანდელი სცენა. იქ, ჩემი „პატარა კახის" ეკლესიაც კი ვერ დაუდგამთ, არამც თუ ასეთი სასწაულების მოხდენა შესძლონო".

მას შემდეგ განვლო ორმა წელმა. მანამდისაც და შემდგომაც მრავალჯერ უთამაშნიათ „პატარა კახი", მაგრამ მაყურებელმა დღესაც არ იცის, ეკლესია და თემობის სცენა არის თუ არა „პატარა-კახში".

როდესაც მე ვწერ ქართულ თეატრის შესახებ—პრინციპიალურ ნიადაგზე ვდგევარ. მასთან რეალურ პირობებსაც სათანადო ანგარიშს გაუწევ, ხოლო მოვითხოვ ყოველივე შესაძლებლის შესრულებას. ჩვენი დასის არგუმენტი მუდამ ის არის, რომ დრო არა გვაქვს,—ფული არა გვაქვსო.

გეცოდინებათ, რომ გუშინდელი წარმოდგენით გაიხსნა ახალი სერია წარმოდგენებისა—ქართველ მსახიობთა ამხანაგობის სახელით. ამ ამხანაგობამ კი დროისით არ იცოდა, რომ სეზონი ექნებოდა და მუშაობას მხოლოდ სამი დღით ადრე შეუდგა. მე თქვენა გკითხავთ: ხომ იცოდა ამხანაგობამ, რომ ზამთრის სეზონი 1 თებერვალს უნდა გათავებულიყო. შეუძლებელი იყო განა თუნდ ერთი თვით ადრე შეედგინათ ამხანაგობა და თავდარიგს შესდგომოდენ? მაგრამ არა! ჩვენ, ქართველები, სანამ კარზე არ მოგვადგება [illegible], მანამ თითსაც არ გავაქნევთ.

ამხანაგობის დასს რეჟისორობს ახალგაზდა რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. თავდაპირველათ ბ. ანდრონიკაშვილის საყურადღებოთ ის უნდა ვსთქვა, რომ მე მოუთმენელ შეცდომათ მიმაჩნია ახალგაზდა რეჟისორისთვის, როდესაც იგი ასეთ პირობებში გამოდის და მუშაობს, ამით იგი ხელს უწყობს გამეფებულ წესრიგს და იმ შენობას (იგულისხმება სისტემა), რომელიც უნდა დაინგრეს, ბჭეს უდგამს. ჩემი აზრით ეგ უკან დაწევაა ჩვენი ხელოვნებისა და ახალი თეატრის ერთ მორბედთაგანს, როგორათაც მე მიმაჩნია ბ. ანდრონიკაშვილი, ეს არ ეპატიება.

ხუთშაბათის წარმოდგენის შესახებ არ ითქმის, რომ გამოჩენილიყოს ინდივიდუალური სახე შემომქმედი—რეჟისორისა. ეს შეუძლებელიც იყო ორ-სამ დღეში. მიუხედავათ ამისა ხუთშაბათის წარმოდგენა მაინც მწყობრი წარმოდგენა იყო. თუ ბევრი მოთამაშე მოისუსტებდა და „კახის" საიდუმლო—საიდუმლოთვე დარჩა, რა გაეწყობა. უნდა ველოდოთ სცენის ამირანს, რომელიც მილეწ-მოლეწავს დღევანდელ ჯაჭვებს და სამშობლო სცენის შესაძლებლობას გამოაშკარავებს.

პიესის ამსრულებელთა შორის პირველობა უსათუოდ ქ. მდივანს (ტურფა) და ბ. იმხნელს (გელა) უნდა ვაკუთნოთ. მ. მდივნის თვალები ამ საღამოს ნაზი გამოსახულება იყო იმ მელანქოლიური სევდისა, რომელიც ტურფას სწვევია. მე არ მახსოვს მსახიობს ასეთი მთლიანი სახე შეექმნას რომელიმე როლისა.

ბ. იმხნელი კარგი გელა იყო. ფერადები როლისა ზომიერად იყო დანაწილებული და გრძნობაგრძნობას შეუწყვეტლად მისდევდა. ხოლო იმხნელს აკლდა ის, რაც ყველას აკლდა. მე მოგახსენებთ პიესის ტემპზე. სწორედ აქ იყო საჭირო რეჟისორის ხელი, როგორც დირიჟორისა, რომ მას დაეჭირა ტემპი პიესისა და ამ ტემპით ეტარებინა ყველა მოქმედი პირი.

ბ. ყალაბეგიშვილი (გივი) მოგვაგონებდათ რუსის „კუპეცს" თავისი ფორმით და ვერ დამაჯერა—რომ ეს ზორბა, ნელა მოარული—ნელად მობაასე ადამიანი—ნიჭიერი, სახელგანთქმული მეომარი ყოფილიყოს, აღმზრდელი აკაკის, ან ისტორიული „პატარა კახისა". დ. ჩხეიძე (რევაზი)—მეტად ახალგაზდა მსახიობია. სუსტად შეასრულა თავისი როლი. მის რევაზს ვერ მივიღებთ, მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნო. ბუნებრივი კეთილშობილება ზედმეწონილი გამოვიდა რევაზისთვის.

ბ. მურუსიძე (ლევანი) ვერც მწყემსის სამოსელში და ვერც ქულაჯაში ვერ იყო ლევან ქვაბულიძე.

დავეტანჯა ბ. სარელმა (ბაადური) თავის სამარის ხმით. ქილარჯიშვილი „მეჯავე" დედოფალი იყო. ა. ტობანელი (თემურაზ) მოსალოდნელზე გაცილებით უკეთესი გვეჩვენა. ერთი უცილობელი ღირსება აქვს ამ მსახიობს: გრიმს ჯეროვან ყურადღებას აქცევს მუდამ, ხოლო კარგი იქნება ხაზს არ უსვამდეს.

თუ ყურადღება მიაქციეთ "კახის" რეცენზიაში თვით კახი (ბ. გვარაძე) ჯერ არ იყო მოხსენებული. ეს იმიტომ, რომ ხუთშაბათის წარმოდგენას კახი არ ყავდა.

„პატარა კახი" თავის ამსრულებელს ჯერ კიდევ ელის. ბ. გვარაძემ ქართველ მსახიობთა შორის ლექსის კარგი კითხვა იცისო, მაგრამ მარტო ეგ არ კმარა კახის ასასრულებლად.

თვით დრამატიული პოემა—„პატარა კახი"—საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის სიმღერაა. საქართველო მტერს დაუპყრია, ძველი არწივი თეიმურაზი—სნეული, მთებს შეჰფარებია, მაგრამ მისი ძე—ახალგაზდა შევარდენი ახლად ბუდიდან გამოფრენილი ღელავს და შფოთავს, ველარ ისვენებს. გულს ძლივს ანელებს. იგი მზად არის ეკვეთოს შემოსეულ ბატონთ და მათი ბატონობა გაანიავოს—ქარს მისცეს.

დრამის თითოეული სიტყვა ფეთქს, მძაფრად ტოკავს. ეს გაჯავრებული, მაგრამ გულჩათხრობილი ზღვაა, რომლის სიღრმეში გენია-ცეცხლი ღვივის. იგი მზად არის ამოხეთქოს და მოეული ავ-ყია სულ აღგავოს დედამიწიდან.

როდესაც მაყურებელი ზის პარტერში და ისმენს აკაკის სიტყვებს—იგი ასე გულგრილი არ უნდა იყოს, როგორც ხუთშაბათს. იგი პირიქით, პატარა კახთან ერთად უნდა მიილტვოდეს ბრძოლის ველზე და ბრძოლის დროსაც არა ნაკლებ კახის მშობლებისა შფოთავდეს და აღელვებული ელოდეს ბრძოლის შედეგს. ყოველივე ეგ როგორც მრავალი სხვა, როგორც სჩანს მხოლოდ მომავალს უცდის.

დასასრულ გამართულ აპოთეოზს სრული დუმილით მიეგება საზოგადოება. ეს დუმილი, რომ დიდებული [illegible] დიადით გამოწვეული [illegible], მოხარული ვიქნებოდი, მაგრამ სამწუხაროდ სულ სხვას მოასწავებდა იგი. ის იყო დუმილი გაუგებრობისა, დუმილი ინდიფერენტობისა. აპოთეოზის ავტორთა ინდიფერენტიზმს—საზოგადოებამაც მითვე უპასუხა.

აკაკი ფალავა.

ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ.

ს. სუჯუნა (სამეგრელო). კვირას პირველ თებერვალს, სუჯუნის დაბის ორკლასიან სკოლის მოწაფეებმა გამართეს სალიტერატურო დილა, რომელსაც საზოგადოება საკმაოთ დაესწრო. დილამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

პირველად მასწავლებელმა ილია სიხარულიძემ გააცნო ხალხს ჩვენი სახელოვანი ნეტარხსენებული პოეტის აკაკის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობა. შემდეგ გრძნობიერათ წაიკითხეს ლექსები მოწაფეებმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ლექსმა „აკაკის ხსოვნას", რომელიც დინჯათ და მოხდენილათ წაიკითხა მოწავე ქალმა ვერა გუგუშვილმა; ამასთანვე შეასრულეს შემდეგი ქართული სიმღერები: „კურდღელი ჩამოცანცალდა", „გალიაში რომ გაგზარდე", „ქალების მუშაობა", „ნანა" და „გლეხის გოდება".

წაიკითხეს აგრეთვე [illegible] სცენები და ბოლოს გამართეს ცეკვა-თამაში. საზოგადოთ დილამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე; ამ შთაბეჭდილებას აორკეცებდა ის, რომ ქალ-ვაჟნი დაძმურათ, ხელიხელ ჩაკიდებული ასრულებდენ თავის როლებს. ეს მოვლენა ცხადს ყოფს, რომ შერეული სკოლა მეტათ აფაქიზებს მოზარდ თაობის ნორჩ გულს და ქმნის ქალ-ვაჟთა შორის სოლიდარულ და მეგობრულ დამოკიდებულებას ყოველსავე საერთო საქმეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ მოწაფეთა მშობლების უმრავლესობა არ დასწრებია ამ სალიტერატურო დილას, რომელიც მათ დაანახებდა, თუ რას აკეთებენ სკოლაში მათი შვილები.

სასურველია, ამ სკოლის მაგალითს მიბაძავდენ სხვა სკოლებიც: გამართავდენ ხშირ-ხშირად ლიტერატურულ დილას ან საღამოს, და მით ხელს შეუწყობდენ სოფლების დაახლოვებას სკოლასთან.

სუჯუნელი.

ს. ბ ში. (ქუთ. მაზ). ეს სოფელი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია. წელიწადი იქნება, რაც სამკითხველოს ნებართვა აღებულია ქ. შ. წ. კ. გამ საზ. ქუთ. განყოფილებისგან, მაგრამ დღესაც მისი საქმე მოუგვარებელი არის. ამ სიმპატიური საქმის მოუწყობლობის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ ინტელიგენტთა ჯგუფის გულგრილობა გახლავთ. არ იქნა მათი შეთანხმება ამ საკითხში, ყველას სურს თავისი სურვილი განახორციელოს თავის გემოვნებაზე, მოაწყოს ბიბლიოთეკის საქმე და ამასობაში საერთო საქმის წინმსვლელობა შეჩერებულია. დროა, ბოლო მოეღოს კინკლაობას და სიტყვა საქმეთ ვაქციოთ.

თ. ბაშელი.

Მ Ო Წ Ო Დ Ე Ბ Ა.

ს. ტყიბული (ქუთ. მაზ.) უფასო წიგნსაკითხველო სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა გულ შემატკივარს და უყვარს უფრო ვჯრებს, დახმარება გაუწიონ სამკითხველოს, რადგანაც ჟურნალ-გაზეთების გამოწერის საშუალება სამკითხველოს ჯერჯერობით არა აქვს. ამ ჟამად სამკითხველოს მხოლოდ შემდეგი გაზეთები მოსდის: „ახალი აზრი", „სამშობლო", „Зорька", „Зак. Рѣчь". ჟურნალებიდან: „თეატრი და ცხოვრება" და „კლდე". და თუ გულ-შემატკივართა თანაგრძნობა არ მოგვაკლდა, მაშინ სამკითხველოს საქმე კარგად წავა და ნაყოფსაც გამოიღებს.

ფულით შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით:

Тквибулы Михаилу Кобиладзе.

ჟურნალ—გაზეთებისთვის:

Безплатной Читальнѣ.

სამკითხველოს გამგეობის მდივანი **ქრისტეფორე ანდრიაძე.**

Ჩ Ვ Ე Ნ Ი Ფ Ო Ს Ტ Ა:

ხუჯუნის წიგნსაცავ-სამკითხველოს წევრს. „ახალი ივერიის" კანტორის გამგეს და რედაქტორს გ. დარახველიძეს ჩვენების არავითარი ფული არ გადმოუცია.

ხოკრომანდა. „მეთვალყურეს" თქვენი ხელმოწერილი წერილი არ დაიბეჭდება.